

## ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს

### წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

#### იურიდიული განყოფილების დებულება

##### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) იურიდიული განყოფილება (შემდგომში - განყოფილება) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
2. განყოფილება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, ამ დებულებითა და უნივერსიტეტის სხვა შიდანორმატიული აქტებით.
3. განყოფილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორის მიერ დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

##### მუხლი 2. განყოფილების საქმიანობის სფერო, ძირითადი ამოცანები და ფუნქციები

1. განყოფილების საქმიანობის სფერო, ფუნქციები და ამოცანებია:
  - ა) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობის მიღება;
  - ბ) უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;

- გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნივერსიტეტისა და სხვა ორგანოთა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადება;
- დ) კონტროლი და კოორდინაცია უნივერსიტეტის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაზე, მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე;
- ე) უნივერსიტეტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ვ) უნივერსიტეტის მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წინადადებების მომზადება;
- ზ) უნივერსიტეტის წარმომადგენლობისა და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და სასამართლოებში;
- თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირების განცხადებების განხილვა და მათ განხილვაში მონაწილეობა;
- ი) უნივერსიტეტის შიდანორმატიული აქტებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები და ამოცანები.

### **მუხლი 3. განყოფილების ხელმძღვანელობა**

1. განყოფილებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი.
2. განყოფილების პერსონალს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

### **მუხლი 4. განყოფილების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

1. განყოფილების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.